გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

25 სექტემბერი 2008 წ. ქ.თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

მოსამართლე ნინო ონიანი
სხდომის მდივანი ც. გახელაძე

მოსარჩელე: ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"
წარმომადგენლები: თამარ კორძაია და ირაკლი მაჭარაშვილი

მოპასუხე: საქართველოს პრემიერ-მინისტრი
წარმომადგენელი: თამაზ ბარაბაძე

მოპასუხე: საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
წარმომადგენლები: ალექსანდრე ჩანქსელიანი და ვასილ ჩალაძე

თანამოპასუხე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო
წარმომადგენელი: (არ გამოცხადდა)

მესამე პირები: შპს "ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოფმენთ კო"
წარმომადგენლები: გიორგი ზარდიაშვილი და ნინო რამიშვილი

– შპს „საქართველოს ხე-ტყის მრეწველობის კომპანია"
წარმომადგენელი: იური პეიტრიშვილი

– ფიზიკური პირი ემილ რეინირსი (არ გამოცხადდა)
წარმომადგენელი: მამუკა შამუგია (არ გამოცხადდა)

დავის საგანი: საქართველოს პრემიერ – მინისტრის 2007 წლის 03 აგვისტოს №90, 2007 წლის 03 აგვისტოს №91, 2007 წლის 03 აგვისტოს №92 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2007 წლის 03 მაისის №470, 2007 წლის 03 მაისის №471 და 2007 წლის 03 მაისის №472 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

ასოციაცია "მწვანე ალტერნატივამ" სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიმართ და მოითხოვა საქართველოს პრემიერ – მინისტრის 2007 წლის 03 აგვისტოს №90, 2007 წლის 03 აგვისტოს №91, 2007 წლის 03 აგვისტოს №92 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2007 წლის 03 მაისის №470, 2007

წლის 03 მაისის №471 და 2007 წლის 03 მაისის №472 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

სასარჩელო განცხადების თანახმად ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"- მ 2007 წლის 24 ივნისის №04/05-49, №04/05-50 და №04/05-51 ადმინისტრაციული საჩივრებით საქართველოს პრემიერ მინისტრთან გაასაჩივრა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №470, №470, და №472 ბრძანებები და მოითხოვა მათი ბათილად ცნობა. საქართველოს პრემიერ–მინისტრის 2007 წლის 3 აგვისტოს №90, №91 და №92 ბრძანებებით უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. მოსარჩელე თვლის, რომ გადაწყვეტილებები არის უკანონო და ისინი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს პრემიერ მინისტრის ბრძანებებს საფუძვლად დაედო 2007 წლის 4 ივნისის №04/05-49, №04/05-50 და №04/05-51 ადმინისტრაციული საჩივრების განხილვასთან დაკავშირებით ჩატარებული ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმი და საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის მიერ მომზადებული ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის არგუმენტით ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს მოტივები არ განეკუთვნება სადაო აქტების კანონის კონკრეტულ ნორმასთან წინააღმდეგობის იმ კატეგორიათა წრეს, რაც შეიძლება გახდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლის პირველი პუნქტით ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამსართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი. ასევე, არც ისეთ დარღვევათა კატეგორიას, რომლის არსებობის შემთხვევაში მიღებული იქნებოდა სხვადასხვაგვარი გადაწყვეტილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 19 თებერვლის №27 დადგენილებაში საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის დამტკიცების შესახებ აისახა გაეროს ბიომრავალფეროვნების დაცვის შესახებ კონვენციის მონაწილე მხარეების მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების აუცილებლობა. მთავრობის დადგენილების პრეამბულაში აღნიშნულია, რომ 1994 წელა საქართველომ ხელი მოაწერა საერთაშორისო კონვენციას ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ და ამგვარად იკისრა პასუხისმგებლობა – დაიცვას ქვეყნის მდიდარი მცენარეული საფარი და ცხოველთა სამყარო; დაიწყოს ბიოლოგიური რესურსების გონივრული გამოყენება და უზრუნველყოს ბიომრავალფეროვნებისაგან მიღებული სარგებლის სამართლიანი განაწილება.

აღნიშნული დოკუმენტი არის ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს და იმ მიმართულებებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ სახელმწიფო დაწესებულებებმა არსებული კანონმდებლობის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისას. ერთ-ერთ უნმიშვნელოვანეს მიმართულებად, მთავრობის დადგენილების შესაბამისად, მიჩნეულ იქნა ტყის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება. კერძოდ: ქვეყნის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია "ტყის მრავალფეროვნების დაცვა და შენარჩუნება ტყის რესურსების გონივრული მართვის (მდგრადი სატყეო მეურნეობის მეთოდების) დანერგვის გზით." ამ მიზნის შესასრულებლად კი საჭიროა "ხე-ტყის დამზადებაზე მორატორიუმის უზრუნველყოფა გადაბერებულ და ტყის კორომებსა და მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე ტყეებში და ამ კორომების დაცვის პრიორიტეტულობის პრინციპის გამოყენება". ანუ მთავრობის დადგენილებით ცალსახად განისაზღვრა, რომ სახელმწიფომ მორატორიუმი უნდა გამოაცხადოს ტყის გადაბერებულ კორომებსა და მაღალი კონსერვაციის ღირებულების ტყეებზე.

მოსარჩელე მიუთითებს, რომ ზეპირი განხილვისას სადაო გახდა ტერმინი მაღალი კონსერვაციული ღირებულება.

მოსარჩელე განმარტავს, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გადაწყვეტილების მიღებისას უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს ტყის კოდექსის მოთხოვნებითა და მთავრობის დადგენილებით. შესაბამისად, ზუსტად განესაზღვრა კონსერვაციის ზონები და განეხორციელებინა მათზე მორატორიუმი. კერძოდ, სალიცენზიო პირობებით უნდა განეხორციელებინათ მათზე მორატორიუმი. სალიცენზიო პირობებით უნდა განსაზღვრულიყო ის სატყეო კვარტალები და ლიტერები, სადაც აკრძალული იქნებოდა მერქნის მოპოვება მათი კონსერვაციული ღირებულების გამო.

სალიცენზიო პირობებში, ასეთი დეტალური ჩანაწერის არ არსებობის გამო, ცაირღვა საქართველოს გარემოს დაცვის შესახებ კანონის 47-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა და საქართველოს კანონის საქართველოს წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ მე-10 მუხლის მოთხოვნები.

საქართველოს ტყის კოდექსის 55-ე მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს ტყით სარგებლობის ლიცენზიაში გათვალისწინებულ **პირობებს**.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი **რესურსების** სამინისტროს მიერ სარგებლობის ლიცენზიის გაცემის შესახებ **არც ერთ ბრძანებაში** არ არის მითითებული რესურსების მოპოვების **დასაშვების ფორმები და მეთოდები**, თუ როგორ რა მეთოდით უნდა მოხდეს ტყითსარგებლობის **განხორციელება. ბრძანებაში** არ არის მითითებული ასათვისებელი **რესურსის სახე, არის ზოგადი მითითება** წიწვიანი, ხოლო წიწვიანი ხეების **სახეობის სიმრავლიდან გამომდინარე** გაურკვეველს ხდის ტყითსარგებლობის **რაოდენობის წიწვიანი ხის ყოველი** კონკრეტული რაოდენობის მიმართ. **პრემიერ** მინისტრის მიერ **ადმინისტრაციული** საჩივრით გასაჩივრებული ინდივიდუალური **აქტების** მიღებისას **საქართველოს ტყის** კოდექსის 35-ე და 36-ე **მუხლებით** და ორჰუსის **კონვენციის** მე-6 **მუხლის** მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ საქართველოს ტყის კოდექსის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენლებს უფლება აქვთ მიიღონ სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია სახელმწიფო ტყის ფონდის მდგომარეობის შესახებ. მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის დაგეგმვის ყველა ღონისძიებაში ნებისმიერ ეტაპზე.

ამავე მუხლის მე-3 პუნქტით კი: სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოების მიერ ტყითსარგებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, შესაბამისი რეგიონების მიხედვით, უნდა გამოქვეყნდეს სახელმწიფო ტყის ფონდის მართვასთან დაკავშირებული ინფორმაცია: ტყეთმოწყობის შესახებ; სახელმწიფო ტყის ფონდის კატეგორიებად დაყოფის შესახებ; სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიებისათვის დაცვის რეჟიმის მიკუთვნების შესახებ; სახელმწიფო ტყის ფონდის 5 და მეტი წლით სარგებლობისათვის გადაცემის შესახებ.

საქართველოს ტყის კოდექსის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად: ამ კოდექსის 35-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოები უზრუნველყოფენ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენელთა მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების განხილვას.

ორჰუსის კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების თანახმად: დაინტერესებული საზოგადოება ადეკვატურად, დროულად და ეფექტურად უნდა იყოს ინფორმირებული საზოგადომბიელი თუ ინდივიდუალური შეტყობინებების მეშვეობით გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე.

ყოველი მხარე უზრუნველყოფს საზოგადოების მონაწილეობას ადრეულ ეტაპზე, როდესაც ვარიანტები ღიაა და საზოგადოებას აქვს მასში ეფექტური მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.

მინისტრის ბრძანებით, გაცემული ლიცენზიის საფუძველზე, განსახორციელებელი ქმედება მნიშვნელოვან ზეგავლენას იქონიებს გარემოსა და

ადამიანის ჯანმრთელობაზე. ასეთი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სახელმწიფო უწყებების მიერ საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის ვალდებულება კი განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. აუქციონის გამართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება მოხდა საზოგადოების ყოველგვარი წინასწარი ინფორმირების გარეშე და გაუმჭვირვალედ. საზოგადოების წარმომადგენლებას, მათ შორის ადგილობრივ მოსახლეობაში, რომელიც უშუალოდაა დამოკიდებული ტყის რესურსებზე, არ ჰქონდათ საშუალება მიეღოთ სათანადო ინფორმაცია და მოეხდინათ ზეგავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. ვინაიდან აუქციონის გამართვის შესახებ გადაწყვეტილება მათთვის პოსტ ფაქტუმ – მხოლოდ აუქციონის გამართვის შესახებ სამინისტროს განაცხადის გამოქვეყნების შედეგად გახდა ცნობილი.

- სამინისტროს მიერ გაკეთებული მტკიცებულება, რომ ინფორმირებული იყო საზოგადოება უსაფუძვლოა. ისინი აღნიშავენ, რომ სამინისტროს ინტერნეტ საიტზე დაახლოებით 1 წელია განთავსებულია "საქართველოს სატყეო პოლიტიკა", სადაც აღნიშნულია, რომ სახელმწიფო აპირებს გრძელვადიან ტყით სარგებლობას". აღნიშნულთან დაკავშირებით მოსარჩელე განმარტავს, რომ აღნიშნულ დოკუმენტს აქვს პროექტის სახე, რომელიც 1 წლის განმავლობაში ოთხჯერ იქნა შეცვლილი. ოთხივე დოკუმენტი სათაურით, შინაარსითა და ფორმით განსხვავებული იყო. აღნიშნულ დოკუმენტში ეწერა სამინისტროს ზოგადი განზრახვა, ასახული იყო ზოგადი მიმართულებები, რომელიც მთელი ქვეყნის სატყეო პოლიტიკას შეეხება და არა ის კონკრეტული გადაწყვეტილებები, რომელებმაც გავლენა შეიძლება მოახდინონ კონკრეტულ გარემოზე.

რაც შეეხება სამინისტროს მტკიცებას, რომ გაზეთ 24 საათში აუქციონის გამართვამდე 1 თვით ადრე კანონის შესაბამისად იქნა გამოქვეყნებული აუქციონის ჩატარების შესახებ ინფორმაცია, ეს იყო უკვე აუქციონის გამართვის შეტყობინება, ანუ გამოქვეყნდა უკვე მიღებული გადაწყვეტილება. ამდენად, არ მომხდარა საზოგადოების ინფორმირება გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მქონე ქმედების დაგეგმის შესახებ, რომელზეც აზრის გამოთქმა იყო შესაძლებელი.

მოსარჩელე მიუთითებს, რომ საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეული იქნა საქართველოს ტყის კოდექსის 35-ე და 36-ე მუხლები და ორჰუსუს კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტები.

მოსარჩელე განმარტავს, რომ აუქციონის მოწყობისას არ იქნა ზუსტად დადგენილი მოსაპოვებელი რესურსის საერთო ოდენობა და შესაბამისად, არასწორადაა დაანგარიშებული სარგებლობის ლიცენზიის აუქციონის საწყისი ფასი. კერძოდ: სარგებლობის ლიცენზიის აუქციონის საწყისი ფასი დგინდება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრების 2005 წლის 28 სექტემბერის №386 ბრძანებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის და საწყისი ფასის განსაზღვრის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.

საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მონაცემებით, ახალციხეში ბოლო ტყითმოწყობა ჩატარდა 1997-1999 წლებში. ვინაიდან ლიზინგის გაცემა ხდება 20 წლით, კანონმდებლობის შესაბამისად მოსაჭრელი რესურსის მთლიანი მოცულობის დასადგენად საჭიროა, ტყეთმოწყობა ჩატარდეს მინიმუმ ორჯერ: 2007 წელს და 2017 წელს. ამდენად 1997 წელს ჩატარებული ტყითმოწყობის საფუძველზე ლიცენზიის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში მოსაჭრელი რესურსის რაოდენობის დადგენა და მის საფუძველზე საწყისი ფასის გაანგარიშება არ ასახავს რეალობას და არ შეესაბამება სინამდვილეს. ამ ეტაპზე შეუძლებელია ითქვას, აუქციონის საწყისი ფასის დადგენისას ზედმეტი იანგარიშეს თუ ნაკლები.

ამრიგად, სამივე ლიცენზიასთან დაკავშირებული ტყეთმოწყობის მასალების საფუძველზე (ყვარელი 1991-1992წ. ახალციხე 1997-1999წ. სამეგრელო-ზემო სვანეთი 2005-2006წ) ლიცენზიის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში მოსაჭრელი

რესურსის რაოდენობის დადგენა და მის საფუძველზე საწყისი ფასის გაანგარიშება შეუძლებელი იყო.

მოსარჩელე მხარე განმარტავს და არ ეთანხმება საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მეორე საფუძველს. კერძოდ: გასაჩივრებული აქტები წარმოადგენენ აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რაც დაუსაბუთებელია, ვინაიდან, ზაკ-ის მე-60[1] მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად: დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს.

მოყვანილი დებულების შესაბამისად აღჭურვილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა დასაშვებია სამი ფაქტობრივი გარემოების არსებობისას: თუ აქტით ზიანი ადგება სახელმწიფოს, საზოგადოებრივ ან სხვა პირთა კანონიერ ინტერესებს.

საზოგადოების კანონიერ ინტერესს წარმოადგენს საკუთარი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის შესაფერის გარემოში ცხოვრება. **შესაბამისად, ნებისმიერი** გადაწყვეტილება, რომელიც ეხება **გარემოს დაცვის საკითხებს არის ამ** საზოგადოების კანონიერი ინტერესის საგანი. **მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში** საზოგადოებრივი ინტერესების დარღვევა გამოიხატება **რამდენიმე ფაქტორში:**

გაცემული ლიცენზიების შესაბამისად, შეუძლებელია იმის განსაზღვრა 20 წლის შემდეგ ლიცენზიანტის მიერ ტყითსარგებლობის **შედეგად** რა ცვლილებებს **განიცდის** გარემო და იქნება თუ არა ეს **უსაფუძვლო ჯამრთელი** გარემოს **შენარჩუნებისათვის.**

ლიცენზიის **შესაბამისად,** ყველა ის ვალდებულება, რაც სახელმწიფოს აკისრია, ტყის მდგრადი განვითარებისათვის გადაცემული **აქვს** ლიცენზიანტს, ხოლო მის მიერ ვალდებულების **შეუსრულებლობის** ანარასათანადოდ **შესრულების** შემთხვევაში ცალსახაა, რომ **საზოგადოებრივ** ინტერესს ცხოვრობდეს **ჯანმრთელობისათვის** უენებელ **გარემოში** ადგება ზიანი. **შესაბამისად,** სახელმწიფოს **მხრიდან** ტყითასრგებლობის ლიცენზიის **გაცემისას** ყოველივე ზემოთქმულის გაუთვალისწინებლობა არღვევს **საზოგადოებრივ** ინტერესს **და** ამ **შემთხვევაში,** საზოგადოებრივი ინტერესი **არის** უპირატესი, **კერძო** პირის ინტერესთანშედარებით **და** აქტი ბათილად **უნდა** იქნეს ცნობილი.

მოსარჩელე **განმარტავს,** რომ **სახეზეა** აგრეთვე **პირთა** კანონიერი **ინტერესების** დარღვევა, **კერძოდ:** სამცხე-ჯავახეთის, **სამეგრელო-ზემო** სვანეთის, ყვარელის მოსახლეობას **არ** მიეცა **შესაძლებლობა** კანონმდებლობით **მათთვის** მინიჭებული **უფლების** ფარგლებში **მონაწილეობა** მიეღო **გადაწყვეტილების** მიღების **პროცესში** **და** მოეთხოვა **სახელმწიფოსათვის** მათი **ინტერესების** **გათვალისწინება** **გადაწყვეტილების** მიღების **პროცესში,** ანუ **მესამე** **პირებს** **წაერთვათ** **მონაწილეობის** **უფლება.**

ყოველივე ზ/აღნიშნულიდან **გამომდინარე** **მოსარჩელე** **ითხოვს** **საქართველოს** **პრემიერ** **მინისტრის** **2007** **წლის** **03** **აგვისტოს** **№90,** **2007** **წლის** **03** **აგვისტოს** **№91,** **2007** **წლის** **03** **აგვისტოს** **№92** **ინდივიდუალური** **ადმინისტრაციულ-სამართლებრივი** **აქტების,** **საქართველოს** **გარემოს** **დაცვისა** **და** **ბუნებრივი** **რესურსების** **სამინისტროს** **2007** **წლის** **03** **მაისის** **№470,** **2007** **წლის** **03** **მაისის** **№471** **და** **2007** **წლის** **03** **მაისის** **№472** **ინდივიდუალური** **ადმინისტრაციულ-სამართლებრივი** **აქტების** **ბათილად** **ცნობას.**

სასამართლო **სხდომაზე** **გამოცხადებული** **მოსარჩელე** **მხარის** **წარმომადგენელი** **თამარ** **კორძაია** **ეთანხმება** **წარმოდგენილ** **სარჩელს,** **მხარს** **უჭერს** **და** **აქვეყნებს** **მის** **მიერ** **წარმოდგენილ** **წერილობით** **ახსნა-განმარტებას** **(ს.ფ.** **128-131)** **და** **ითხოვს** **სარჩელის** **დაკმაყოფილებას.**

სასამართლო **სხდომაზე** **გამოცხადებული** **მოსარჩელე** **მხარის** **წარმომადგენელი** **ირაკლი** **მაჭარაშვილი** **ეთანხმება** **წარმოდგენილ** **სარჩელს,** **მხარს** **უჭერს** **და**

აქვეყნებს მის მიერ წარმოდგენილ წერილობით ახსნა-განმარტებას (ს.ფ. 111-127) და ითხოვს სარჩელის დაკმაყოფილებას.

სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული მოპასუხე საქართველოს პრემიერ-მინისტრის წარმომდგენელი თ. ბარაბაძე სარჩელს არ ცნობს, მხარს უჭერს შესაგებელს და ითხოვს მოსარჩელეს უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს ზაკ-ის 60[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

მოპასუხე მხარის წარმომადგენელი მიუთითებს, რომ მოსარჩელის მიერ სადაოდ არ გამხდარა გასაჩივრებული აქტების მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. სარჩელი ეფუძნება გარემოებებს, რომლებიც თითქოსდა ადასტურებს ამ აქტების კანონთან წინააღმდეგობის ფაქტს, რაც არ შეეფერება სინამდვილეს, კერძოდ: ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" ადმინისტრაციულ საჩივარზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას მიჩნეულ იქნა, რომ ასოციაციის მიერ საჩივარში მითითებული გარემოებების, ასევე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენელთა არგუმენტების ანალიზით ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" მოტივები არ განეკუთვნებოდა მათ მიერ სადაოდ გამხდარი აქტების კანონთან წინააღმდეგობის იმ კატეგორიათა წრეს, რაც შეიძლებოდა ზაკ-ის მე-60[1] მუხლის პირველი ნაწილით აქტის ბათილად ცნობის საფუძველი გამხდარიყო, ასევე არც ისეთ დარღვევათა კატეგორიას, რომლის არსებობის შემთხვევაში მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას არ იქნა გაზიარებული მხარის მითითება იმის თაობაზე, რომ სამინისტროს ლიცენზიების გაცემით დაირღვა "საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის დამტკიცების შესახებ " საქართველოს მთავრობის 2005 წლის 19 თებერვლის №27 დადგენილების მოთხოვნები, რომლის თანახმად ზუსტად უნდა ყოფილიყო განსაზღვრული კონსერვაციის ზონები, სალიცენზიო პირობებით და ასევე ზუსტად განსაზღვრულიყო ის სატყეო კვარტლები და ლიტერები, სადაც აკრძალული იქნებოდა მერქნის მოპოვება მათი კონსერვაციული ღირებულების გამო.

მიჩნეული იქნა, რომ დადგენილებით განსაზღვრული ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგია და მოქმედების გეგმა წარმოადგენს 2010 წლამდე განსახორციელებელ ღონისძიებებს, ამასთან სამინისტროს მიერ ლიცენზიანტებისათვის დადგენილი მოთხოვნები სრულად უზრუნველყოფს ტყის მრავალფეროვნების დაცვა-შენარჩუნებას და ტყის რესურსების გონივრული მართვის ჩამოყალიბებას.

მოპასუხე მხარე მიიჩნევს, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ გადაწყვეტილებაში საესებით სწორად არ იქნა გაზიარებული მოსარჩელის მოსაზრება სამინისტროს სადაო აქტებით საქართველოს ტყის კოდექსის 55-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევებთან დაკავშირებით, რამდენადაც აღნიშნულ ბრძანებებში კონკრეტულად არის მითითებული ტყეთსარგებლობის ადგილი, სახე, ვადები, ასათვისებელი რესურსის სახე და ოდენობა, რესურსის ღირებულება, გადასახადები და მოსაკრებლები, ტყითმოსარგებლის უფლებები, პასუხისმგებლობის ფორმები და სხვა პირობები.

რესურსის მოპოვების დასაშვები ფორმები და მეთოდები მოწესრიგებულია სპეციალური ნორმატიული აქტებით, ამდენად, მისი ბრძანებაში მიუთითებლობა არ შეიძლება გახდეს ამ ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი.

მოპასუხე არ იზიარებს მოსარჩელე მხარის პოზიციას, რომ თითქოს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა დაუსაბუთებლად არ მიაკუთვნა მოსარჩელის მიერ ადმინისტრაციულ საჩივარში მითითებული არგუმენტები ზაკ-ის მე-60[1] მუხლით გათვალისწინებულ კატეგორიას და რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიღებისას დაირღვა საქართველოს ტყის კოდექსის 35-ე და 36-ე მუხლების მოთხოვნები, ვინაიდან ზეპირი მოსმენის დროს დადგენილი იქნა, რომ

სამინისტროს მიერ ტყითსარგებლობის ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებული წარმოების დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე ინფორმაცია გამოქვეყნებული იქნა პრესაში ერთი თვით ადრე აუქციონის ჩატარებამდე, რითაც ყველა დაინტერესებულ პირს საშუალება ჰქონდა მიეღო შესაბამისი ინფორმაცია. გარდა ამისა, სამინისტროს ინტერნეტ–საიტზე განთავსებული იყო დოკუმენტი სატყეო პოლიტიკის შესახებ, რაც სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებდა გრძელვადიანი ტყითსარგებლობის პირობების დადგენას. ზ/აღნიშნულიდან გამომდინარე მიჩნეული იქნა, რომ სამინისტროს მხრივ ტყის კოდექსის აღნიშნულ მოთხოვნათა დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის სადაო ბრძანების გამოცემისას გაზიარებული იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენელთა განმარტება ორჰუსის კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების მოთხოვნათა დარღვეევებთან მიმართებაში. კერძოდ, აღნიშნული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ მუხლის დებულებები გამოიყენება მხოლოდ კონვენციის №1 დანართში ჩამოთვლილი საქმიანობის ნებართვაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ტყითსარგებლობა კი ამ დანართით არ არის გათვალისწინებული. **დანართი არ განიხილავს ტყითსარგებლობას, როგორც გარემოზე ზემოქმედებას დაქვემდებარებულ** საქმიანობას და შესაბამისად, **კონვენციის აღნიშნული მუხლით დადგენილი** მოთხოვნები არ ვრცელდება ტყითსარგებლობის ლიცენზირებაზე.

მოპასუხე მხარე ასევე განმარტავს, რომ საქართველოს ზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ე" ქ/პუნქტით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც დაინტერესებულ მხარეს ანიჭებს რაიმე უფლებას ან სარგებელს, წარმოადგენს აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ამავე კოდექსის მე-60[1] მუხლის მე-4 ნაწილით დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი აქტის ბათილად ცნობა თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ. ხოლო ამავე მუხლის მე-5 ნაწილით დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არსებობს იმ შემთხვევაში თუ მან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და აქტის ბათილად ცნობით მას მიადგება ზიანი.

სადაო აქტები კი წარმოადგენენ აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, მათი გამოცემის შემდეგ გაიცა შესაბამისი ლიცენზიები, ე.ი. განხორციელდა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და აქტის გაუქმებით, რომ ტყითმოსარგებლეს ზიანი მიადგება, სადაო არ არის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოპასუხე მხარის წარმომადგენელი ითხოვს მოსარჩელეს უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული მოპასუხე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენელი სარჩელს არ ცნობს, მხარს უჭერს შესაგებელს და ითხოვს მოსარჩელეს უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

ასოციაცია მწვანე ალტერნატივას მიერ 2007 წლის 12 სექტემბერს შეტანილი იქნა სარჩელი და მოთხოვნილ იქნა საქართველოს პრემიერ მინისტრის მიერ ასოციაცია მწვანე ალტერნატივას ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობ,ა ასევე საქართველოს გარემოს დაცვის ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №470, №471 და №472 ბრძანებების ბათილად ცნობა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში 2007 წლის 1 მაისს ჩატარდა აუქციონი, რომლის შედეგების საფუძველზეც გაიცა ლიცენზიები №00628, 00627 და ლიცენზია №00624. მოცემული ლიცენზიები საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაცემულია კანონმდებლობის სრული დაცვით.

მოპასუხე მხარე მიუთითებს, რომ საჩივრის ავტორის განმარტებით WWF Caucasus ოფისის მიერ მომზადებულია დოკუმენტები, რომლებიც ითვალისწინებენ 2006-2010 წლებში საქართველოს სამეურნეო ტყის ფონდის გარკვეული ნაწილის დაცულ

ტერიტორიებად გამოცხადებას. აღნიშნულთან დაკავშირებით ლიცენზიების მოქმედებამ არ უნდა გამოიწვიოს ბიომრავალფეროვნების დეგრადაცია. ყოველი მათ მიერ განხორციელებული ქმედება უნდა იყოს სამინისტროსთან შეთანხმებული და გადამოწმებული.

მოცემული დოკუმენტები ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს. მას არა აქვს ნორმატიული დატვირთვა და შესაბამისად, ლიცენზიის გაცემისას შეუძლებელია ლიცენზიის გამცემმა იხელმძღვანელოს ასეთი სახის დოკუმენტებით.

მოპასუხე თელის, რომ არ არის დარღვეული საქართველოს ტყის კოდექსის 55-ე მუხლი ტყითსარგებლობის სანებართვო დოკუმენტებია (შემდგომ ტყითსარგებლობის დოკუმენტი) ტყითსარგებლობის ლიცენზია, ხელშეკრულება და ბილეთი. ტყითსარგებლობის ლიცენზია და ბილეთი გაიცემა და ხელშეკრულება იდება სახელმწიფო ტყის ფონდის კადასტრისა და ტყეთმოწყობის საფუძველზე ამ კოდექსის მოთხოვნათა დაცვით. ტყითსარგებლობის ლიცენზია, ხელშეკრულება და ბილეთი ძალაში შედის ტყითმოსარგებლეზე მისი გაცემის დღიდან. ტყითსარგებლობის ლიცენზია, ხელშეკრულება და ბილეთი გაიცემა ტყითმოსარგებლეზე და მისი გასხვისება დაუშვებელია. ტყითსარგებლობის ლიცენზიით, ხელშეკრულებითა და ბილეთით განისაზღვრება: ა) ტყითსარგებლობის ადგილი; ბ) ტყითსარგებლობის სახე; გ) ტყითსარგებლობის ვადები; დ) ასათვისებელი რესურსის სახე და ოდენობა; ე) რესურსის მოპოვების დასაშვები ფორმები და მეთოდები; ვ) რესურსის ღირებულება, სხვა გადასახადები და მოსაკრებლები; ზ) ტყითმოსარგებლის სხვა უფლებები და პასუხისმგებლობა; თ) სხვა პირობები.

რაც შეეხება რესურსების მოპოვების დასაშვებ ფორმებსა და მეთოდებს, აღნიშნული საკითხები რეგულირდება შესაბამისი ნორმატიული აქტებით თუმცა მხოლოდ ასეთი ფორმებისა და მეთოდების ბრძანებებში აუსახველობა არ შეიძლება გახდეს მისი ბათილად ცნობის საფუძველი. ზაკის 60[1]-ე მუხლი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32ე ან 34ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

აგრეთვე დაუსაბუთებელია მხარის განცხადება თითქოს დარღვეულ იქნა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ ორჰუსის კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების თანახმად: დაინტერესებული საზოგადოება ადეკვატურად, დროულად და ეფექტურად უნდა იყოს ინფორმირებული საზოგადოებივი თუ ინდივიდუალური შეტყობინებების მეშვეობით გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე.

ყოველი მხარე უზრუნველყოფს საზოგადოების მონაწილეობას ადრეულ ეტაპზე, როდესაც ვარიანტები ღიაა და საზოგადოებას აქვს მასში ეფექტური მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. ვინაიდან ტყის სარგებლობა არ წარმოადგენს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემას დაქვემდებარებულ საქმიანობას და ამასთან კონვენციის პირველი დანართი ტყის სარგებლობას არ განიხილავს, როგორც გარემოზე ზემოქმედების ნებართვის დაქვემდებარებული საქმიანობას ზემოაღნიშნული კონვენციის მოთხოვნები არ ვრცელდება ტყის სარგებლობის ლიცენზირებაზე. თუმცა, ყოველივე ზემო აღნიშნული ინფორმაცია გამოქვეყნებული იქნა პრესაში 1 თვით ადრე აუქციონის ჩატარებამდე. აღსანიშნავია ასევე, რომ

სამინისტროს ინტერნეტ–საიტზე დაახლოებით 1 წელია განთავსებულია საქართველოს სატყეო პოლიტიკის დოკუმენტი.

მოპასუხე განმარავს, რომ ტყის სარგებლობის ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობის შესახებ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №132 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად შესწავლილ იქნა ხე-ტყის მარაგის მონაცემები ყველა იმ კვარტლების და უბნების ანალიზით, სადაც დაშვებულ იყო ჭრები. გაანგარიშებულია პროგნოზული მოსაჭრელი ხე-ტყის მოცულობა საექსპლუატაციო უბნებიდან ხე-ტყის რესურსის მოპოვების დინამიკა, მერქნიანი მცენარეების სახეობები. საქართველოს ტყის კოდექსის 115-ე სახელმწიფო ტყის ფონდით სარგებლობა, სახელმწიფო ტყის ფონდის კადასტრისა და ტყეთმოწყობის შესახებ ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნათა განხორციელებამდე, დაიშვება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შესაბამის რეგიონულ და ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით სპეციალური გამოკვლევებით წინა პერიოდის ტყეთმოწყობის მასალების ყოველწლიური კორექტირების საფუძველზე. . აკრძალულია ყოფილი საკოლმეურნეო ტყეებისა და საბჭოთა მეურნეობების გამგებლობაში არსებული ტყის ფონდის მიწებზე კერძო საკუთრების უფლების დამადასტურებელი ნებისმიერი დოკუმენტის გაცემა.

ტყის სარგებლობის ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობის შესახებ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისთოს №132 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ტყით სარგებლობის ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მფლობელმა უნდა უზრუნველყოს მასზე დამაგრებული რესურსების რაოდენობის ტყეკაფის გამოყოფის სამუშაობის განხორციელება. ხოლო, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად ხე-ტყის დამზადება აკრძალულია ტყეკაფის გამოყოფის გარეშე.

მოპასუხე თვლის, რომ უსაფუძველოა მოსარჩელის განცხადება იმის თაობაზე, რომ ლიცენზიების გაცემისას დარღვეულია გარემოს დაცვის შესახებ წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ და ლიცენზიებისა და ნებართვები შესახებ საქართველოს კანონები, ვინაიდან: სალიცენზიო პირობების შესაბამისად ლიცენზიის მფლობელი ვალდებლია ლიცენზიის მიღებიდან არაუგვიანე 1 წლის ვადაში წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სატყეო-სამეურნეო საბჭოს მიერ სერტიფიცირებული გეგმა.

წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ მე-10 მუხლი გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობებზე შესაძლო მავნე ანთროპოგენური ზეგავლენის მოხდენის გათვალისწინება სავალდებულოა: „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცესში სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის შედგენისას; საქართველოს ტყის კოდექსის შესაბამისად მთავარი, მოვლითი და სპეციალური ჭრებისას ან/და საგყეო-სამეურნეო ღონისძიებების დაგეგმვისას და განხორციელებისას; სასუქების, შხამქიმიკატებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენებისას, აგრეთვე იმგვარი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელებისას, რომელმაც შეიძლება უშუალოდ ან არაპირდაპირ გამოიწვიოს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების მოსპობა, რაოდენობის შემცირება, საბინადრო გარემოსა და საარსებო პირობების გაუარესება.

მოპასუხე მხარე ასევე მოსარჩელის არასწორ მოსაზრებად მიიჩნევს, რომ დარღვეულია ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქარველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნები რომლის შესაბამისად ლიცენზიის გამცემმა სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტისათვის შეიძლება დაადგინოს სარგებლობის რაოდენობრივი, თვისობრივი და დროში განსაზღვრული ნორმები და წესები. აღნიშნული მოთხოვნები სამინისტროს მიერ დადგენილია, რომელიც ლიცენზიატისათვის შესასრულებლად სავალდებულოა.

მოპასუხე განმარტავს, რომ დარღვეული არ არის საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 19 ოებერვლის №27 დადგენილება, ვინაიდან დადგენილებით განისაზღვრა, რომ ქვეყნის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს

[illegible]ადგენს ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვა და შენარჩუნება ტყის რესურსების [illegible]ეის დანერგვის მიზნით. ხე-ტყის დამზადებასთან დაკავშირებული საქმიანობის [illegible]ალიზმა ცხადყო, რომ მოკლევადიანი ტყითსარგებლობა არ მარტო ხელს უშლიდა [illegible]ების მდგრად განვითარებას, არამედ სახელმწიფო ტყის ფონდს მიაყენა [illegible]შენელოვანი ზიანი. სწორედ აღნიშნული გახდა საფუძველი, რომ ტყეების [illegible]ერადაციისა და სატყეო დარგში არსებული კორუფციის აღმოსაფხვრელად ხე-ტყის დამზადების მიმართულებით ძირითადი აქცენტი გადატანილი ყოფილიყო საქართველოს "ტყის კოდექსით" გათვალისწინებულ გრძალვადიან ტყით სარგებლობაზე. მოპასუხე მხარე მიიჩნევს, რომ მოცემული ქმედებით ხელი შეეწყობა, [illegible] არსებული ეკოსისტემების დაცვას, აღდგენასა და კვლავწარმოებას, ასევე სატყეო სექტორის მდგრად განვითარებასაც. ასევე აღნიშნული დადგენილებით განისაზღვრა სტრატეგიები და მიზნები. ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვა-შენარჩუნებით და ტყის რესურსების გონივრული მართვის სისტემის დანერგვით ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს "ხე-ტყის დამზადებაზე მორატორიუმის უზრუნველყოფა გადაბერებული ტყის კორომებსა და მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე ტყეებში და ამ კორომების დაცვის პრიორიტეტულობის პრინციპის გამოყენება". სწორედ მოცემული განსაზღვრავს სახელმწიფოებრივ ინტერესს, რომ თანდათან პროგრესირებადი გზით მოხდეს ტყის რესურსებით სარგებლობისას მათი დაცვა.

მოპასუხე მიუთითებს, რომ დადგენილებით განსაზღვრული ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა, წარმოადგენს მომავალში (2010 წლამდე) განსახორციელებელ ღონისძიებებს, შესაბამისად მისი შესრულებაც უნდა მოხდეს ამ ვადაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოპასუხე მხარე მიიჩნევს, რომ სამინისტროს მიერ ლიცენზიის გაცემა 2006-2010 წლის განმავლობაში კანონმდებლობით არ იკრძალება და, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ ლიცენზიანტებისათვის დადგენილი მოთხოვნები სრულად უზრუნველყოფს ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვა-შენარჩუნებასა და ტყის რესურსების გონივრული მართვის სისტემის ჩამოყალიბებას. ასევე მოპასუხე მხარე მიიჩნევს, რომ დაუსაბუთებელია მოსარჩელის განცხადება, რომ თითქოს ლიცენზიის გაცემით ზიანი ადგება მაღალკონსერვაციული ღირებულებების მქონე ტყეებს, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობისა და სალიცენზიო პირობების შესაბამისად, ლიცენზიანტებს ეკისრებათ მთელი რიგი ვალდებულებები ზოგადად ტყის ბიომრავალფეროვნებისა და მათ შორის მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე ტყეების მიმართ.

სასამართლო სხდომაზე, მიუხედავად სათანადო გაფრთხილებისა, არ გამოცხადდა მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი და შესაბამისად, საქართველოს ასკ-ის 26[1] მუხლისა, წინამდებარე საქმე განხილულ იქნა მისი დასწრების გარეშე. გამოქვეყნდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შესაგებელი. (ს.ფ. 67-80 ტ. II)

სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული მესამე პირი შპს „ჯორჯია ეუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოფმენთ კო"-ს წარმომადგენელი სარჩელს არ ცნობს, მხარს უჭერს მოპასუხე მხარეების ახსნა-განმარტებებსა და მის მიერ წარმოდგენილ შესაგებელს (ს.ფ. 275-279) და ითხოვს მოსარჩელეს უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული მესამე პირის შპს „საქართველოს ხე-ტყის მრეწველობის კომპანიის" წარმომადგენელი იური ბეიტრიშვილი სარჩელს არ სცნობს, მხარს უჭერს მოპასუხე მხარეების ახსნა-განმარტებებსა და ითხოვს მოსარჩელეს უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

სასამართლო სხდომაზე, მიუხედავად სათანადო გაფრთხილებისა, არ გამოცხადდა მესამე პირი ემილ რეინარსი და მისი წარმომადგენელი მ.შამუგია. შესაბამისად, საქართველოს ასკ-ის 26[1] მუხლისა, წინამდებარე საქმე განხილულ იქნა მათი დასწრების გარეშე.

საქმეში წარმოდგენილია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის №470 ბრძანება შპს "ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოფმენტ"-ზე გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ, რომლის თანახმად, ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის ა ქვეპუნქტის, საქართველოს ტყის კოდექსის 52-ე მუხლის, 54 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №132 დადგენილებით დამტკიცებული ტყის სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე გაიცა შპს "ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოფმენტ-ზე" სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს წალენჯიხისა და ჩხოროწყუს სატყეო უბნის მუხურის, თაიას, ნაფიჩხოვოს, მაგანის, ხუდონის, ჯვარის სატყეოებზე გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით ხე ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია 20 წლის ვადით.

ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ხე-ტყის პროგნოზული წლიური მოცულობა განისაზღვრა სამასალე – 18 850 კბმ, საშეშე-12 950 კბმ სულ ლიკვიდი 31 800 კბმ დანართი №1-ის შესაბამისად.

ამავე ბრძანებით განსაზღვრული იქნა შპს "ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოფმენტ"- ის ვალდებულებანი. კერძოდ: იგი ვალდებულია პირველი წლის რესურსის ასათვისებლად გამოყოს ტყეკაფი და შესაბამისი მასალები წარადგინოს სამინისტროში შესათანხმებლად; ლიცენზიის მიღებიდან არაუგვიანეს ერთი წლის განმავლობაში წარედგინა საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სატყეო სამეურნეო საბჭოს პრინციპების საფუძველზე შედგენილი მართვის გეგმა... ასევე ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ყოველწლიურად 1 აპრილიდან 1 მაისამდე სამინისტროში წარადგინოს წერილობითი ანგარიშგება სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ. (ს.ფ 21-23)

საქმეში წარმოდგენილია სადავო საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება №471 ფ/პ ემილ რეინირსზე გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ, რომლის თანახმად, ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის ა ქვეპუნქტის, საქართველოს "ტყის კოდექსის" 52-ე მუხლის, 54 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №132 დადგენილებით დამტკიცებული ტყის სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე გაიცა ფ/პ ემილ რეინირსზე სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს ახალციხის სატყეო უბნის ოთის, ზედაველის, ძველის, აწყურის, თისელის, ურაველის, ვალეს სატყეოებზე გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით ხე ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია 20 წლის ვადით.

ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ხე ტყის პროგნოზული წლიური მოცულობა განესაზღვრა სამასალე- 9 297 კბმ, საშეშე- 12 203 კბმ სულ ლიკვიდი 21 500 კბმ დანართი №1-ის შესაბამისად. (ს.ფ 26-28)

საქმეში წარმოდგენილია ასევე სადავო საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება №472 შპს საქართველოს ხე ტყის მრეწველობის კომპანია-ზე გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ რომელის თანახმად, ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის ა ქვეპუნქტის, საქართველოს ტყის კოდექსის 52-ე მუხლის, 54 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №132 დადგენილებით დამტკიცებული ტყის სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე გაიცეს შპს საქართველოს ხე ტყის მრეწველობის კომპანიაზე კახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს ყვარლის სატყეო უბნის, ახალსოფლის,

ყვარლის, შილდის, საბუის, გარემოს სატყეოებზე გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით ხე ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია 20 წლის ვადით.

ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ხე ტყის პროგნოზული წლიური მოცულობა განესაზღვროს სამასალე- 4 200 კბმ, საშეშე- 3 300 კბმ სულ ლიკვიდი 7 500 კბმ დანართი №1-ის შესაბამისად. (ს.ფ 31-33)

სასამართლოს დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ 2007 წლის 04 ივნისს №04/05-49, 05/50 და 05-51 ადმინისტრაციული საჩივრებით საქართველოს პრემიერ მინისტრთან გასაჩივრებული იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №470, 472 და 471 ბრძანებები მათი გაუქმების მოთხოვნით. (ს.ფ. 36-57)

აღნიშნული ადმინისტრაციული საჩივრების განხილვის ფარგლებში საქართველოს მთავრობის 2004 წლის 9 ივლისის №57 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს მთავრობის რეგლამენტის 64-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის მიერ განხილული იქნა ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" ადმინისტრაციული საჩივრები და მასალები (ს.ფ. 79-80) და ასევე ჩატარდა ზეპირი მოსმენა (ს.ფ. 81-86)

საქართველოს პრემიერ–მინისტრის 2007 წლის 3 აგვისტოს №93, 92 და №93 ბრძანებებით უარი ეთქვა ასოციაცია მწვანე ალტერნატივას 2007 წლის 4 ივნისის №04/05-49, №04/05-50, 04/05-52 ადმინისტრაციული საჩივრების დაკმაყოფილებაზე.

ზ/აღნიშნული ბრძანების თანახმად, ცნობად იქნა მიღებული ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" 2007 წლის 4 ივნისის ადმინისტრაციულ საჩივრებზე ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმი და საქართველოს მთავრობის რეგლამენტის 64-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის მიერ მომზადებული ინფორმაცია ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ საჩივრებზე ადმინისტრაციული წარმოების ჩარტარების შესახებ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად უარი ეთქვა მოსარჩელეს 2007 წლის 4 ივნისის ადმინისტრაციული საჩივრების დაკმაყოფილებაზე. (ს.ფ 15-19)

საქმეში წარმოდგენილია . საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2007 წლის 21 ივნისის №03-02-10/1907 წერილი საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსისადმი, რომლის თანახმად დგინდება, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ განიხილა ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" ადმინისტრაციული საჩივრები 2007 წლის 3 მაისის №470, 471 და 472 ბრძანებების გაუქმების თაობაზე და აღნიშნულთან დაკავშირებით აცნობა შემდეგი: საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში 2007 წლის 1 მაისს ჩატარდა აუქციონი, რომლის შედეგების საფუძველზეც გაიცა ლიცენზიები №00628, №00627 და №00624. მოცემული ლიცენზიები საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაცემულია არსებული კანონმდებლობის სრული დაცვით შემდეგ გარემოებათა გამო: 1. საჩივრის ავტორების განმარტებით WWF Caucasus PO ოფისის მიერ მომზადებულია დოკუმენტები, რომლებიც ითვალისწინებენ 2006-2010 წლებში საქართველოს სამეურნეო ტყის ფონდის გარკვეული ნაწილის დაცულ ტერიტორიებად გამოცხადებას. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ აღნიშნული დოკუმენტი ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს, მას არ აქვს ნორმატიული დატვირთვა და შესაბამისად ლიცენზიის გაცემისას შეუძლებელია ლიცენზიის გამცემმა იხელმძღვანელოს ასეთი სახის დოკუმენტით.

ასევე არ ეთანხმება, გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ლიცენზიის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებული იქნა ზემოაღნიშნული ტერიტორიების ეკოლოგიური მდგომარეობის შესწავლისა და მოსაპოვებელი რესურსის მოცულობის დადგენის გარეშე. ვინაიდან "ტყითსარგებლობის ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №132 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად შესწავლილი იქნა გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ხე-ტყის რესურსის მარაგის მონაცემები ყველა იმ კვარტლების და უბნების ანალიზით, სადაც დაშვებული იყო ჭრები. გაანგარიშებულია მოსაჭრელი ხე-ტყის მოცულობა, შესწავლილია

საექსპლუატაციო უბნებიდან ხე-ტყის რესურსის მოპოვების დინამიკა წლების განმავლობაში, მერქნიანი მცენარეების სახეობები. ამასთანავე ზემო აღნიშნული დებულების მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ტყითსარგებლობის ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მფლობელმა (აუქციონზე გამარჯვებულმა პირმა) უნდა იზრუნოს მასზე დამაგრებული რესურსების რაოდენობის ტყეკაფის გამოყოფის სამუშაოების განხორციელება. ხოლო, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ხე-ტყის დამზადება აკრძალულია ტყეკაფის გამოყოფის გარეშე. ანუ ლიცენზიების გაცემისას განხორციელდა სალიცენზიო ობიექტის სრული შესწავლა, მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონმდებლობა სამინისტროს მიმართ ამ ტიპის ვალდებულებას არ ითვალისწინებდა.

"საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის დადგენილებით განსაზღვრულია, რომ ქვეყნის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვა და შენარჩუნება ტყის რესურსების მართვის დანერგვის მიზნით. დღემდე ხე-ტყის დამზადებასთან დაკავშირებული საქმიანობის ანალიზმა ცხადყო, რომ 1 წლამდე ვადით ტყით სარგებლობა არა მარტო ხელს უშლიდა ტყეების მდგარად განვითარებას, არამედ სახელმწიფო ტყის ფონდს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი. სწორედ აღნიშნული გახდა საფუძველი იმ გარემოებისა, რომ ტყეების დეგრადაციისა და სატყეო დარგში არსებული კორუფციის აღმოსაფხვრელად ხე-ტყის დამზადების მიმართულებით ძირითადი აქცენტი გადატანილი ყოფილიყო საქართველოს ტყის კოდექსით გათვალისწინებულ გრძელვადიან ტყით სარგებლობაზე. აღნიშნული ქმედებით ხელი შეეწყობა როგორც არსებული ეკოსისტემების დაცვას, აღდგენასა და კვლავწარმოებას, ასევე სატყეო სექტორის მდგრად განვითარებასაც.

ასევე უსაფუძვლოა საჩივრის ავტორის განცხადება იმის თაობაზე, რომ ლიცენზიების გაცემისას დარღვეული იქნა "გარემოს დაცვის შესახებ", "წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ" და "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონები, ვინაიდან: სალიცენზიო პირობების შესაბამისად ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის მიღებიდან არა უგვიანეს 1 წლის ვადაში წარადგინოს საქართველოს კანონმდებლობის და საერთაშორისო სატყეო სამეურნეო საბჭოს პრინციპების საფუძველზე შედგენილი მართვის გეგმა, რომელიც ტყის მდგრადი განვითარების სხვა კომპონენტებთან ერთად უნდა მოიცავდეს – ტყის მოვლის, დაცვისა და აღდგენის ღონისძიებებს, ტყის მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებებს, ხე-ტყის დამზადების უბნების რიგითობას და ვადებს, ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვის ღონისძიებებს, ტყის გენეტიკური რესურსების სახეობებისა და ეკოსისტემების დაცვის ღონისძიებებს, ტყის ზრდის დინამიურობაზე მონიტორინგს, ლიცენზიით გათვალისწინებულ ტერიტორიებზე მიწის ეროზიისაგან დაცვის ღონისძიებებს. ამასთანავე, ლიცენზიანტმა ტყითსარგებლობისას მაქსიმალურად უნდა დაიცვას ტყის ეკოლოგიური მდგრადობა და ტყის სხვა რესურსები დაზიანებისაგან და ა.შ. რაც უზრუნველყოფს უარყოფითი ზემოქმედების აღკვეთის ღონისძიებების გატარების საავალდებულო ხასიათს და არ გამოიწვევს ბიომრავალფეროვნების დეგრადაციას.

ასევე არასწორად იქნა მიჩნეული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ დარღვეულია "წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნები. აღნიშნული კანონის მე-10 მუხლის თანახმად, "გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობებს იცავს სახელმწიფო. აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, მათ შორის ნადირობა, რეწვა, მოპოვება, ჭრა და თიბვა, გარდა ამ კანონით "ცხოველთა სამყაროს შესახებ" საქართველოს კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული განსაკუთრებული შემთხვევებისა, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების რაოდენობის შემცირება, საბინადრო გარემოსა და საარსებო პირობების გაუარესება". ხოლო, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, სალიცენზიო პირობების თანახმად, ლიცენზიანტი ვალდებულია შეიმუშავოს მართვის გეგმა, რომელიც სხვა კომპონენტებთან ერთად უნდა მოიცავდეს ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვის ღონისძიებებს. შესაბამისად

ლიცენზიანტს ეკისრება ვალდებულება დაიცვას "წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნები, ისევე როგორც, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის სხვა მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიომრავალფეროვნების მდგრადობას. ასევე არასწორად მიიჩნევა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ დარღვეული იქნა "ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნები, რომლის შესაბამისად "ლიცენზიის გამცემმა სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტისათვის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, შეიძლება დაადგინოს სარგებლობის რაოდენობრივი, თვისობრივი და დროში განსაზღვრული ნორმები და წესები". აღნიშნული მოთხოვნები სამინისტროს მიერ დადგენილია დანართი ერთით, რომელიც ლიცენზიანტისათვის შესასრულებლად სავალდებულოა.

ადმინისტრაციულ საჩივრებში მოცემული გარემოება, რომელიც შეეხება სამინისტროს მიერ "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" (ორჰუსის) კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევას, მოკლებულია სამართლებრივ საფუძვლებს შემდეგ გარემოებათა გამო: სამინისტროს ინტერნეტ საიტზე დაახლოებით ერთ წელია განთავსებულია "საქართველოს სატყეო პოლიტიკის დოკუმენტი", რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს სახელმწიფოს მიმართულებას დაადგინოს გრძელვადიანი ტყითსარგებლობის პირობები. ამდენად, აღნიშნულის შესახებ სამინისტროს მიერ საზოგადოება სრულად იყო ინფორმირებული. ასევე "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა გაუსეთ 24 საათში 2007 წლის 2 აპრილს, აუქციონის გამართვამდე ერთი თვით ადრე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიჩნეული იქნა, რომ ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" საჩივრები მოკლებული იყო ყოველგვარ სამართლებრივ საფუძვლებს. (ს.ფ. 60-65)

საქმეში წარმოდგენილია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სატყეო დეპარტამენტმა 2007 წლის 07 ივნისს №17/02-8/117-905 წერილით მწვანე ალტერნატივას, ბიომრავალფეროვნების პროგრამის კოორდინატორსა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს აცნობა, რომ სატყეო დეპარტამენტის მიერ განხილული იქნა ხე-ტყის დამზადების მიზნით გრძელვადიანი ტყით სარგებლობით ტყის უნიკალური მასივების განადგურების საშიშროების წარმოქმნის შესახებ და ტყეების ინვენტარიზაციის დასრულებამდე და ტყეების მდგრადი მართვის პოლიტიკის და სტრატეგიის განსაზღვრამდე გამოცხადებული აუქციონების გაუქმების შესახებ.

აღნიშნულის შესახებ აცნობა, რომ სატყეო ურთიერთობები რეგულირდება 1999 წლის 22 ივნისს გამოცემული საქართველოს ტყის კოდექსის, საქართველოს "წითელი ნუსხისა" და "წითელი წიგნის შესახებ" საქართველოს კანონის, "ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის და მათგან გამომდინარე ნორმატიული აქტებისაგან. აღნიშნული საკანონმდებლო ბაზა და ასევე სხვა საკანონმდებლო აქტები ითვალისწინებენ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების აღკვეთის ღონისძიებების გატარების სავალდებულო ხასიათს.

ყოველივე ზემოაღნიშნული წერილით შეტყობინებისა, ასევე ეცნობა, რომ სატყეო სექტორის განვითარების ნაწილში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შემუშავებულია "საქართველოს სატყეო პოლიტიკის დოკუმენტი", რომლის საჯარო განხილვაც დაიგეგმა 2008 წლის 15 ივნისს, სადაც შესაძლებლობა ჰქონდათ გამოეთქვათ მათი მოსაზრებები ამ დოკუმენტთან დაკავშირებით. ასევე დამატებით ეცნობათ, რომ მზადდებოდა კარტოგრაფიული მასალა, სადაც აისახებოდა როგორც მაღალი ღირსების კორომების განფენილობა, ასევე მერქნულ რესურსზე მოსახლეობის პირადი მოთხოვნილების დაკმაყოფილების

უსრულესაყოფად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის გადასაცემი ტერიტორიები. (ს.ფ. 75-76)

საქმეში ასევე წარმოდგენილია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სატყეო დეპარტამენტის 2007 წლის 04 ოქტომბრის №17/02-8/244-1830 წერილი, რომლითაც მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორს ეცნობა, რომ სატყეო დეპარტამენტის მიერ განხილული იქნა მათი 2008 წლის 10 სექტემბრის №04/05-54 წერილი, რომელიც ეხებოდა სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და კახეთის რეგიონალურ სატყეო სამმართველოების მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდში უკანასკნელად ჩატარებული ინვენტარიზაციის შესახებ ინფორმაციისა და ტყის კორომთა გეგმების მიწოდების საკითხს. ხსენებულთან დაკავშირებით აცნობა, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონალურ სატყეო სამმართველოს მართვას დაქვემდებარებული ყოფილი ახალციხე-ასპინძის სატყეო მეურნეობაში ტყეთმოწყობა ჩატარებულია 1997-99 წლებში. შამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალურ სატყეო სამმართველოს მართვას დაქვემდებარებული ყოფილი ოდიშის სატყეო მეურნეობაში ტყეთმოწყობა ჩატარებულია 1984-85 წლებში, კახეთის რეგიონალურ სატყეო სამმართველოს მართვას დაქვემდებარებული ყოფილი ყვარლის სატყეო მეურნეობაში ტყეთმოწყობა ჩატარებულია 1989-92 წლებში. ასევე გადაგზავნილი იქნა მათ მიერ აღნიშნული სატყეოების ტყის კორომთა გეგმების ელექტრონული ვერსია. (ს.ფ. 222)

სამოტივაციო ნაწილი:

სასამართლომ განიხილა მოსარჩელე: ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" სასარჩელო განცხადება, გაეცნო საქმის მასალებს, მოუსმინა პროცესზე გამოცხადებულ მხარეებს და მიიჩნია, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ სადაოდაა ქცეული - საქართველოს პრემიერ მინისტრის 2007 წლის 03 აგვისტოს №90, 2007 წლის 03 აგვისტოს №91, 2007 წლის 03 აგვისტოს №92 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2007 წლის 03 მაისის №470, 2007 წლის 03 მაისის №471 და 2007 წლის 03 მაისის №472 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

წარმოდგენილი სარჩელი აღძრულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის შესაბამისად, კერძოდ, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით, ასეთი სარჩელი დასაშვებია თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის I ნაწილის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ – სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით აღძრული სარჩელის საფუძველზე მოსარჩელეს შეუძლია მიაღწიოს იმ ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას ან ძალადაკარგულად გამოცხადებას, რომელიც პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს

მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას
და შესაბამისად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ იმ პირის ან პირების
მიერ, რომელსაც ფაქტების მეშვეობით შეუძლია დაამტკიცოს, რომ მისი უფლებები
და კანონიერი ინტერესები დარღვეული იქნა ამ აქტით.

მოსარჩელის კომპეტენციაშია, თავად შეარჩიოს იმ ფორმის სარჩელი, რომელიც
მას ესაჭიროება მიზნის განსახორციელებლად, ასევე უნდა განსაზღვროს დავის
საგანი, სარჩელის შინაარსი და მოცულობა, სასამართლო შეზღუდულია მოცემული
სარჩელით და საქმეს იხილავს ამ სარჩელის ფარგლებში.

საქართველოს ასკ-ის მე-17 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ინდივიდუალურ
ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების
შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება
ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციული აქტი,
აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე სასამართლოს მიაჩნია, რომ მტკიცების
ტვირთის მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრება და მოსარჩელის
განთავისუფლება სარჩელის დასაბუთების ვალდებულებისაგან არასწორია, ვინაიდან
მოსარჩელე ყოველთვის ვალდებულია თავად დაასაბუთოს სარჩელი და როგორც
სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციული სამართალწარმოებით არ არის
განსაზღვრული და შესაბამისად არ იგულისხმება ამ ვალდებულების მოპასუხე
მხარეზე გადაკისრება.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის კონკრეტულ
საფუძვლებს განსაზღვრავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლის 1-
ლი და მე-2 ნაწილი. აღნიშნული ნორმის თანახმად, ადმინისტრაციულ-
სამართლებრივი აქტი ბათილია თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად
დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა
მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის
წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის
გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით
ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული
წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის
შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების
წინაპირობაა, პირველ რიგში, ამ აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო იყოს
უფლებამოსილი, კონკრეტული ინდივიდუალურ სამართლებრივი ურთიერთობა
მოაწესრიგოს ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით.
ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების
განსაზღვრის კრიტერიუმებია: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი
აქტის, როგორც საქმიანობის სამართლებრივი ფორმის დასაშვებობა, ინდივიდუალურ
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერება და
ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური
კანონიერება. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური
კანონიერება დაკავშირებულია ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი
აქტის გამოცემის პროცესთან და მოითხოვს, რომ ის გამოსცეს უფლებამოსილმა
ორგანომ, მისი გამოცემისთვის კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული
წარმოების სახის დაცვით და შესაბამისი ფორმით.

ადმინისტრაციული წარმოება ეს არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა,
რომელიც მიმართულია ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის
მომზადების, გამოცემის და აღსრულებისკენ. ადმინისტრაციული კოდექსი
ჩამოთვლის ადმინისტრაციული წარმოების სახეებს და ამკვიდრებს პრინციპს,
რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებს გამოსცეს ინდივიდუალურ
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების
წესით. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების
საფუძვლებია: ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძვლების დაცვა,
კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დაწესების დაუშვებლობა,
დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, აცილების

უფლება, სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერების განსაზღვრის პროცესში კი აუცილებელია ყურადღება მიექცეს მის დასაბუთებას – ყოველი წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. მასში უნდა იყოს მოცემული ის სამართლებრივი და ფაქტობრივი წინამძღვრები, რომელთა საფუძველზე გამოიცა ეს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. თუ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, იგი ვალდებულია, აქტის დასაბუთებაში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო თავის გადაწყვეტილებას. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერება დაკავშირებულია აქტის შინაარსთან და მოითხოვს, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობების მოწესრიგება შეესაბამებოდეს მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდიოდეს ქვეყანაში მოქმედ საკანონმდებლო აქტებთან.

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №132 დადგენილებით დამტკიცდა ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულება, რომლის თანახმად, სადაო ლიცენზიების გაცემის დროისათვის, მოქმედი დებულების შესაბამისად, გენერალურ და სპეციალურ ლიცენზიებს გასცემდა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. აღნიშნული დებულების მე-4 მუხლით განისაზღვრებოდა გენერალური და სპეციალური ლიცენზიების გაცემის წესი, კერძოდ: გენერალური და სპეციალური ლიცენზიები გაიცემა აუქციონის წესით, რომელიც ცხადდებოდა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის (შემდგომში _ მინისტრი) ადმინისტრაციული აქტით, რომელიც უნდა გამოიცეს აუქციონის გამართვამდე არა უგვიანეს ერთი თვისა. მე2 პუნქტში განსაზღვრული ადმინისტრაციული აქტის გამოცემის საფუძველია მაძიებლის განცხადება, რომელსაც სამინისტრო იხილავს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით, ან სამინისტროს გადაწყვეტილება. ინფორმაციას აუქციონის გამართვის თაობაზე სამინისტრო აქვეყნებს ცენტრალურ პრესაში აუქციონის გამართვამდე არა უგვიანეს ერთი თვისა.

ასევე დებულების მე-8 მუხლი განსაზღვრავს სალიცენზიო პირობებს. საქართველოს მესაბამისი საკანონმდებლო აქტებით დადგენილი სალიცენზიო პირობების გარდა მაძიებელს შეიძლება განესაზღვროს შემდეგი დამატებითი სალიცენზიო პირობები:

ა) გენერალური ლიცენზიის ან ხე-ტყის დამზადების მიზნით ტყით სარგებლობის ლიცენზიის გაცემისას:

ა.ა) ოც წლამდე ვადით ტყით სარგებლობის ლიცენზიის გაცემისას იურიდიული პირების მიერ ლიცენზიით გამოყოფილ ტერიტორიაზე ტყეთმოწყობის პროექტით გათვალსიწინებული ტყის მოვლის, დაცვისა და აღდგენის სამუშაოების უზრუნველყოფის ვალდებულების აღება.

ა.ბ) მოვლითი და სპეციალური ჭრების განხორციელების ვალდებულების აღება და ამ საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო კრიტერიუმების დაკმაყოფილება;

ა.გ) ხე-ტყის ტრანსპორტირებისას იქონიოს და ექსპორტირებისას საბაჟო ორგანოებს წარუდგინოს მისი კანონიერებისა და წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელთა ფორმასა და გაცემის წესს აღგენს მინისტრი. აგრეთვე აღნიშნულ დოკუმენტებთან ერთად წარდგენილ უნდა იქნეს რესურსის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქვითარი);

ა.დ) ხეტყის რეალიზაციისას მყიდველს გაყიდულ ხეტყესთან ერთად გადასცეს "ა.გ" ქვეპუნქტში განსაზღვრული დოკუმენტაცია და რესურსის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის (ქვითრის) ასლი.

ა.ე) ლიცენზიის მიღებიდან ორი თვის განმავლობაში წარადგინოს გარემოზე ზემოქმედების შეფასება.

ბ) სამინისტროს მიერ გენერალური ლიცენზიის ან სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის აუქციონით გაცემამდე წინასწარ სრულდება ,,ცხოველთა სამყაროს შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი პროცედურები, სამონადირეო სავარგულების გამოყოფისათვის საჭირო წინასწარი დასკვნების მომზადების, დამტკიცებისა და ტერიტორიების მესაკუთრეთა თანხმობის წარდგენის ჩათვლით.

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 17 მარტის №64 დადგენილებით "ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №132 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში შესული იქნა ცვლილებები და დამატებები, რომლის თანახმად, გენერალური და სპეციალური ლიცენზიების გამცემი ადმინისტრაციული ორგანოა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

სასამართლოს განმარტებით, აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, რომელიც დაინტერესებულ მხარეს ანიჭებს რაიმე უფლებას ან სარგებელს, ბათილად გამოცხადების საფუძველია მმართველობის "კანონიერების პრინციპი", რომელიც მოითხოვს კანონიერების აღდგენის მიზნით უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებას. ამ მნიშვნელოვან პრინციპს უპირისპირდება კანონმდებლის მიერ აღიარებული "ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის პრინციპი". ორივე მათგანი კონსტიტუციური რანგისაა და გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან. ამდენად, შეუძლებელია პრობლემის ცალსახად გადაწყვეტა. ადმინისტრაციული წარმოებისას და ადმინისტრაციული სამართალწარმოების ამოცანაა, კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტისას მოახდინონ ამ ორი პრინციპის შეპირისპირება და თანაზომიერი გადაწყვეტილების მიღება.

უკანონო აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი არ შეიძლება ბათილად გამოცხადდეს, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ამ აქტის მიმართ. დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც მან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება, მისი ნდობა ამ აქტისადმი არის დაცვის ღირსი და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადებით სწორედ მას მიადგება ზიანი.

დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არ არის დაცვის ღირსი, ანუ ადგილი არა აქვს კანონერ ნდობას, თუ მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება ან ამ აქტის უკანონობა მისთვის ცნობილი იყო ან უნდა ცოდნოდა.

თუ აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განხორციელდა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება, ანუ ადრესატმა დახარჯა ის ფინანსური შემოსავლები, რომელიც მან მიიღო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე და რომლის უკან დაბუნება შეუძლებელია ან მისი ამოღების შედეგად მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება ამ სიკეთეს, არ შეიძლება ასეთი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად გამოცხადდეს, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ და სხვა პირის კანონიერ უფლებებს და ინტერესებს. ამ საფუძვლებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევაში დაინტერესებულ მხარეს, რომლის კანონიერი ნდობაც ამ აქტის მიმართ დაცვის ღირსია, უნდა აუნაზღაურდეს ინდივიდუალური ადმინისტრციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადებით მიყენებული ქონებრივი ზიანი.

მმართველობის კანონიერების პრინციპისა და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის პრინციპს შორის შეპირისპირების დროს თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მოხდეს აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადებით ადრესატისადმი მიყენებული ზიანის და ამ აქტის ბათილად გამოუცხადებლობით მესამე პირებისა და საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის შეპირისპირება, ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმა და წარმოების სახე, მისი უკანონობის სიმძიმე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ გასული დრო. ყოველივე

ამის გათვალისწინებით შესაძლოა, შეიზღუდოს აქტის ბათილად გამოცხადების შესაძლებლობები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნას, ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებით, მაგრამ საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციულ წარმოებაში მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლებებითა და შესაძლებლობებით. კერძოდ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამდენად, თითოეულმა მხარემ უნდა მიუთითოს მის სასარგებლოდ მოქმედ გარემოებებზე და თუ იგი სადაო გახდება, უნდა დაამტკიცოს ამ გარემოებების არსებობა.

მოსარჩელე მხარეს არ წარმოუდგენია და საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება იმის შესახებ, რომ სადაო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ – სამართლებრივ აქტების მიღების დროს შესწავლილი არ იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მოპასუხის მიერ დარღვეულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, არგუმენტებზე, რომლებიც არ არის სათანადოდ გამოკვლეული და შესწავლილი.

სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სადავო აქტები გამოცემულია კანონის დაცვით და არ არსებობს მათი ბათილად ცნობის წინაპირობები, რის გამოც სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უნდა ეთქვას უარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ასკ-ის პირველი, მე-12, 22-ე, 24-ე, 32-ე და საქართველოს სსკ-ის მე-8, 243-ე, 244-ე, 247-ე, 248-ე, 249-ე, 257-ე, 364-ე, 269-ე მუხლებით

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.
2. მოსარჩელე მხარის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 ლარის ოდენობით დარჩეს უცვლელად.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის შეტანის გზით თბილისის სააპელაციო სასამართლოში (მდებარე, ქ.თბილისი, გრ.რობაქიძის №7ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით (მდებარე, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) 14 დღის ვადაში დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემის მომენტიდან.

მოსამართლე ნინო ონიანი